




საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



38-07-4-201808311628

31/08/2018



N 38

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №38  
2018 წლის 31 აგვისტო  
ქ. ლანჩხუთი**

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №10 დადგენილების (ვებგვერდი 04/03/2015წ, სარეგისტრაციო კოდი:010260020.35.112.016211) პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი“ მე-6 მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველებისა და მათი პოპულაციების მართვისა და კონტროლის ორგანიზება განკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, რომლის განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიას შეუძლია მერიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით საამისოდ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
შესივ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

